სახეცვლილება გუნდისა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:1.

“დინამო”: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, მახარაძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, ცაავა, ჩელებაძე.

“სპარტაკი”: დასაევი, სოჩნოვი, ბ. კუზნეცოვი, ნოვიკოვი, ბუბნოვი, შავლო, ე. კუზნეცოვი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, რუდაკოვი.

მე–13 წთ. ნოვიკოვი, 55–ე წთ. ცაავა, 81–ე წთ. ჩივაძე.

46–ე წთ. არზიანის ნაცვლად – ჩქარეული, 65–ე წთ. ცაავას ნაცვლად – მესხი, გავრილოვის ნაცვლად – კაპუსტინი, 75–ე წთ. რუდაკოვის ნაცვლად – სიდოროვი.

მსაჯი: გერმან გოლიკოვი (ლენინგრადი).

გააფრთხილეს გურული.

კარში დარტყმა – 10:7 (3:4), ზუსტი დარტყმა – 4:3 (2:2), საჯარიმო მოედნიდან – 7:34 (1:2).

კუთხური – 7:2 (2:0).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 6 :1), მოსკოველები 10 (7).

არ მინდა, ამ საფეხბურთო წერილის სათაური პირდაპირ, ისე გამიგონ, თითქოს თბილისის “დინამო” მართლა ძირფესვიანად შეიცვალა, თითქოს გუშინდელმა სუსტმა გუნდმა დღეს ძლიერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, თითქოს საფიქრებელი აღარაფერია – ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თავისთავად და თანაც საკმაოდ მალე მიაღწევს მიზანს.

მართლაც არ მინდა ასე გამიგონ, რადგან, სხვა თუ არაფერი, ამგვარი პოზიცია გაუფასურება იქნებოდა იმ წარმოუდგენლად რთული საქმიანობისა, რაც უეჭველად ახლავს გუნდის აღმასვლის ნებისმიერ მცდელობასაც კი.

ეს ყველაფერი ალბათ გასაგებია, მაგრამ გუშინდელი მატჩის შემდეგ ძალიან მეეჭვება, რომ სტადიონზე მოსულმა გულშემატკივართა უმრავლესობამ ერთხელ მაინც არ გაიფიქრა: დღეს მინდორზე სულ სხვა თბილისის “დინამოაო”.

რა თქმა უნდა, ეს “სხვა თბილისის “დინამო” სულაც არ ნიშნავს საფეხბურთო ძალის ერთბაშად მომატებას, მაგრამ ერთი კი არის – თბილისელები მოსკოვის “სპარტაკთან” მატჩში სულ სხვანაირად თამაშობდნენ. ამ სხვანაირად თამაშში სამ მომენტს გამოვყოფდი. თუმცა ჯერ მატჩზე: თამაში, ერთი შეხედვით, უხალისოდაც კი დაიწყო – არც ერთი მეტოქე არ ცდილობდა ბრძოლის გამწვავებას. მატჩის პირველმა წუთებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მასპინძლები გვარიანად უფრთხოდნენ მოწინააღმდეგეს, მოსკოველები კი მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ თავიანთ უპირატესობის რეალიზებას (თვითდაჯერება სპორტში ერთობ თვალშისაცემია. აი, ასეთი თვალშისაცემი იყო თითოეული სპარტაკელის რწმენა საკუთარი თავისა და გუნდისა). ცხადია, ძნელია ასეთ გუნდთან გამკლავება, თუმცა, ქართველ გულშემატკივართა სასიხარულოდ, თბილისის “დინამოს” სწორედ ეს განზრახვა ედო გულში. ბუნებრივია, მეთორმეტე წუთიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა სახიფათოდ შეუტიეს მოსკოველებს, კაცი ვერ იტყოდა, რით დასრულდებოდა ეს სახიფათო დუელი. ეს კი არის, “სპარტაკს”, ეტყობა, არ ესიამოვნა თბილისელთა აქტიურობა და თვითონვე გადავიდა შეტევაზე. მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს ნოვიკოვმა თავური დარტყმით ზუსტი მისამართი მოუძებნა – 1:0.

წუთის შემდეგ თვითონ ნოვიკოვი შეიჭრა უმეთვალყურეოდ დატოვებულ მარჯვენა ფლანგზე და ისევ სახიფათოდ ჩამოაწოდა. გადის ცოტა ხანი და ახლა რუდაკოვს ეძლევა საშუალება ისევ მარჯვენა ფლანგიდან შეუტიოს თბილისელთა კარს. საბედნიეროდ, ბურთი ძელს მოხვდა.

აი, აქ ზემოთ ხსენებული სამი მომენტიდან ერთზე შევჩერდები. ფეხბურთში ძალზე ხშირად ყველაფერს ტაქტიკური უპირატესობა, ანდა პირიქით – ტაქტიკური შეცდომა წყვეტს. არზიანის თამაში გარეგნულად, შესაძლოა, ეფექტურიც იყო, მაგრამ იგი რამდენჯერმე მოჰყვა სპარტაკელთა დაგებულ მახეში, მოსკოველები მარჯვენა ფლანგზე პასიური თამაშით ადუნებდნენ თბილისელთა განაპირა მცველის ყურადღებას, მერე კი უცბად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას, სწორედ მაშინ, როცა ეს ზონა დაუცველი იყო. არზიანის შეცვლა, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ მატჩში გამართლებულიც იყო და გუნდის სხვანაირად თამაშის ერთ–ერთ წინაპირობადაც იქცა.

დაიწყო მეორე ტაიმი და ნათელი გახდა, რომ "სპარტაკი" თავის თამაშს ვეღარ აჩვენებდა. ბურთის დაკარგვისთანავე ყველა თბილისელი ფეხბურთელი იქვე ებმება ორთაბრძოლაში – მოსკოველთა პასებმა სიზუსტე დაკარგა, გაუფერულდა კომბინაციები. შედეგად "დინამომ" დიდ უპირატესობას მიაღწია და მალე ამ უპირატესობამ მატერიალური ასახვაც ჰპოვა – 55–ე წუთზე მიქაბერიძე–ჩელებაძე–ცაავას კომბინაცია მოსკოველთა კარში გატანილი გოლით დასრულდა. ცხადია, დიდი ენერგია წაიღო ამ პრესინგმა, მაგრამ საზღაურიც წონადი გამოდგა. ესეც გუნდის სახეცვლილების მეორე ნიშანი.

მართალია, გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებს ფლანგური შეტევები მაინცდამაინც არ გამოუვიდათ, მაგრამ იმან, რასაც თბილისელები ახერხებდნენ ცენტრში, სრულად აანაზღაურა ეს დანაკლისი. ჩელებაძის კარგ თამაშს შეიძლება ბევრი ელოდა, მაგრამ გუნდში ხელმეორედ მობრუნებული ფორვარდი თუ ასე ბრწყინვალედ ითამაშებდა, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. მიუხედავად იმისა, რომ "დინამოს" ცენტრალურ თავდამსხმელს აჩრდილივით დაჰყვებოდა ბუბნოვი, ჩელებაძე, ერთთავად იგებდა საჰაერო ბრძოლასაც და თბილისელთა იერიშების ნამდვილი სულისჩამდგმელიც იყო. ცენტრალური თავდამსხმელი პასების გამანაწილებელი – ესეც შეიძლება ითქვას, რომ სიახლეა, რადგან ზაურ კალოევის შემდეგ, თუ არ ვცდები, თბილისის "დინამოში" ამგვარი ფუნქცია აღარავის დაჰკისრებია.

თამაში თბილისელთა კარნახით გრძელდება. ასეთ ვითარებაში მასპინძლებს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევთ ფრე და 81–ე წუთზე საჯარიმო დარტყმის გათამაშების შემდეგ ალექსანდრე ჩივაძემ წერტილი დაუსვა გუნდის ლტოლვას – მოსკოველთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 4 სექტემბერი, 1985 წ.